N 686-49
22/07/2016

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელს
ბ-ნ კობა ლურსმანაშვილს
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის
ვლადიმერ გელაშვილის

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

დამტკიცების შესახებ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 18 დეკემბრის N 43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

გასულ 2014 და 2015 წლებში მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულებულ სამუშაოებზე დაკავებულია ღირებულების 2,5 პროცენტი.

მუნიციპალიტეტი ვალდებულია სამუშაოს მწარმოებლებს შესრულებულ სამუშაოებზე პრეტენზიის არარსებობის შემთხვევაში საგარანტიო ვადის 2 (ორი) წლის გასვლის შემდეგ დაუბრუნოს დაკავებული თანხა. ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ასეთი წესით დაკავებული თანხების დაბრუნება იწყება მიმდინარე 2016 წლიდან, სახელმწიფო ხაზინის სპეციფიკიდან გამომდინარე უახლოეს პრიოდში აუცილებელია ვალდებულებების აღება ასეთ პროგრამებზე.

საქ. მთავრობის 2014 წლის 13.01 N 34 და 2015 წლის 20.01 N 39 განკარგულებებით შესრულებულ სამუშაოებზე 2016 წლის პირველი იანვრისათვის არსებულ სახელმწიფო ფონდების ნაშთში ირიცხება უკან დასაბრუნებელი 95 037 ლარი, მათ შორის:

- 03 01 01 გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის და მოვლა-შენახვის ხარჯები - 63 148 ლარი;
- 03 02 01 სანიაღვრე და საკანალიზაციო არხების მოწყობა- 970 ლარი;
- 03 02 04 წყლის სისტემის რეაბილიტაცია - 4368 ლარი;

- კეთილმოწყობის ობიექტების (ღია ესტრადისა და მიმდებარე პარკის) რეაბილიტაცია -11212 ლარი;
- 03 05 სოფლის მხარდამჭერი პროგრამით (სოფ. კიცხის საზ. ცენტრის მშენებლობის) – 3703

  ლარი;
- 04 04 განათლების ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია (საბავშვო ბაღების მშენებლობა) - 9331 ლარი;
- 05 02 07 კულტურის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია (ბიბლიოთეკის შენობის რეაბილიტაცია) – 2305 ლარი.

საკუთარი სახსრებით ირიცხება უკან დასაბრუნებელი 3316 ლარი, მათ შორის:

- 03 01 01 გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის და მოვლა-შენახვის ხარჯები - 157 ლარი
- 03 01 02 ხიდების ს ბოგირების აშენება, შეკეთება - 365 ლარი;
- 04 04 განათლების ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია (საბავშვო ბაღების მშენებლობა) - 2794 ლარი;

ვალდებულებების აღება საკუთარი სახსრებით უკან დასაბრუნებელ თანხებზე განხორციელდეს 2016 წლის სბიუჯეტო ხარჯების ფარგლებში შესაბამისი პროგრამებიდან, ხოლო სახ. ფონდებით დასაბრუნებელ თანხებზე 2016 წლის სახ. ფონდების ნაშთიდან.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტი ხარჯების ნაწილში 9669,3 ათასი ლარი გაიზარდოს 95,1 ათასი ლარით და განისაზღვროს 9764,4 ათასი ლარით და ხარჯების ზრდის წყაროდ გამოყენებილი იქნას 2016 წლის პირველი იანვრისათვის არსებული სახელმწიფო ფონდების სახსრების ნაშთიდან 95,1 ათასი ლარი.

ვლადიმერ გელაშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი